საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ნ., ნ. ქ.

წარმომადგენელი - რ. შ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 159/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ლ. ნ.-მ და ნ. ქ.-მა და მოითხოვეს ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორების განცხადებით, 2013 წლის 24 იანვარს, ფიზიკური პირების ლ. ნ.-ს (25 %), ნ. ქ.-ისა (25%) და ე. ბ.-ს (50%) მიერ დაფუძნებული იქნა შპს „-----“. კომპანიის დირექტორად დაინიშნა ე. ბ.-ს ნათესავი მირანდა შეროზია-ბოკუჩავა. 2013 წლის 23 ივლისს კომპანიის

დირექტორად დაინიშნა ე. ბ.-ს მეგობარი მამუკა დარჯანია. 2013 წლის 24 ოქტომბრიდან 2015 წლის 21 მაისამდე კომპანიის დირექტორად ლ. ნ. მუშაობდა. 2014 წლის 10 თებერვლიდან ეგუდილ ბულუხია ფორმალურად გავიდა კომპანიიდან, როდესაც მისი ფაქტობრივი წილი მხოლოდ ფორმალურად გადასცა მის დას ქ. ბ.-ს. ამავე დღესვე კომპანია „-----“ შეეცვალა დასახელება და იგი დარეგისტრირდა როგორც შპს „დ-----“. მამუკა დარჯანიას დირექტორობის პერიოდში - 2013 წლის 23 ივლისიდან 2013 წლის 24 ოქტომბრამდე, ე. ბ.-ს სახელზე ფორმალურად რიცხული წილის ფაქტობრივი მესაკუთრის, მისი მამის, მ. ა.-ის იგივე მარკოზ ბულუხიას მიერ კომპანიიდან გატანილი იქნა 28 000 ლარი, ხოლო მოგვიანებით მისივე მოთხოვნით 24%-იანი წილის მესაკუთრე ლ. ნ.-ს მიერ დამატებით გადაეცა ასევე 10 000 ლარი, რომელიც კომპანიამ სესხის სახით აიღო ბანკიდან. მ. ა.-ის მიერ მიღებული ფულის სანაცვლოდ ლ. ნ.-ს უნდა გადასცემოდა ქ. ბ.-ს სახელზე რიცხული 50% წილი შპს „დ.-----“. თუმცა, ლ. ნ.ს მოთხოვნის მიუხედავად, არც თანხა დაუბრუნებია მეუფეს ანტონს და არც 50%-იანი წილი გადასცეს ლ. ნ.-ს . ამასთანავე, კომპანიიდან თანხის გატანის შედეგად კომპანიას აღარ გააჩნდა ფინანსური სახსრები, რის გამოც მას წარმოეშვა დავალიანება კრედიტორების მიმართ.

1.3 წილის მიღების და კომპანიიდან გატანილი 38 000 ლარის დაბრუნების საფუძვლით, ლ. ნ.მ იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ მ. ბ.-ს, რომელიც დაჰპირდა, მეუფის მიერ წაღებულ 38 000 ლარის დააბრუნებას. სანაცვლოდ ადვოკატმა მოითხოვა შპს-დან 10%-იანი წილის მიღება, ლ. ნ. დაჰპირდა მას, რომ თუ საქმეს კარგად წარმართავდა მზად იყო 20%-იანი წილი გადაეფორმებინა მისთვის. ადვოკატმა მ. ბ.-მა კომპანიაში მიიყვანა ნ. ს. და ლ. ნ.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან ის ვერ ერკვეოდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებებში, ნ. ს. როგორც იურისტი და სამეწარმეო სამართლის მცოდნე დაეხმარებოდათ მათ სამართლებრივ საკითხებში, თუმცა მას კომპანიისთვის დახმარება არ გაუწევია.

1.4 ადვოკატ მიხეილ ბაიდოშვილთან ურთიერთობის პერიოდში ადვოკატმა მოამზადა სამართლებრივი დოკუმენტები, მათ შორის შპს „დ-----ს“ ყოფილ პარტნიორ მარკოზ ბულუხიასთვის გასაგზავნი წერილი, რომლითაც ლ. ნ. თხოვდა მას 38 000 ლარის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ქ. ბ.-ს წარმომადგენელთან მ. ჯ. მ. ჯ.-თან გასაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, რომლითაც წარმომადგენელს აცნობეს პარტნიორთა კრების თარიღი და ინფორმაცია განსახილველი საკითხის შესახებ.

1.5 ლ. ნ.ს განმარტებით, მ. ბ. მასთან ერთად ცდილობდა გარკვეული სტრატეგიის შემუშავებას. მისი მიზანი იყო ისეთი გარემოებების შექმნა, რომლის შემდეგ მ. ა. გარკვეულ დათმობებზე წავიდოდა. ლ. ნ.ს და მ. ბ.-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით სარჩელი სასამართლოში აღარ შეიტანეს. მას შემდეგ, რაც მ. ა. მიხვდა კომპანიის გარშემო გარკვეული მოქმედებების დაწყებას, მან ლ. ნ. დაიბარა შეხვედრაზე, სადაც უთხრა, რომ გამოაგზავნიდა კაცს, რომელიც კომპანიაში შეიტანდა 15 000 ლარს, კომპანიის წილის გადაფორმების სანაცვლოდ. მ. ბ. მეილით უგზავნიდა ლ. ნ.-ს სხვადასხვა დოკუმენტაციას მეუფე ანტონთან წასაღებად, რომლებიც ლ. ნ.-ს შემდგომ მიჰქონდა ადრესატთან.

1.6 ლ. ნ.-ს განმარტებით, მ. ა.-მა დაიბარა მ. ბ., მასთან შეხვედრის შემდეგ კი ადვოკატმა შეცვალა დამოკიდებულება მისი კლიენტების მიმართ. ლ. ნ.ს განუმარტა, რომ მ. ა. არის გავლენიანი ადამიანი ყველა სფეროში, შესაბამისად იმისათვის, რომ ჰქონოდა უკეთ მოქმედების საშუალება საჩივრის ავტორთა ინტერესების დაცვის მიზნით ლ. ნ.ს მის საკუთრებაში არსებული კომპანიის წილი უნდა გადაეფორმებინა უსასყიდლოდ მასზე და ნ. ს.-ზე.

1.7 ლ. ნ.ს განმარტებით, ადვოკატმა მ. ბ.-მა უთხრა, რომ მეუფესთან დავას როგორც პარტნიორი ისე გააგრძელებდა, ხოლო იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებას მასთან არ გააფორმებდა. 2014 წლის 31 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ლ. ნ.მ უსასყიდლოდ გადასცა შპს „დ-----ს“ 25% წილი მ. ბ.-სა და ნ. ს.-ს. 2015 წლის 05 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შპს „დ-----ს“ პარტნიორებად 12,5-12,5%-იანი წილობრივი მონაწილეობით აისახნენ მ. ბ. და ნ. ს.. ასევე, მ. ბ. მისივე ინიციატივით დაინიშნა კომპანიის დირექტორად, რადგან ადვოკატმა აუხსნა საჩივრის ავტორებს, რომ ასეთ შემთხვევაში მათ აღარ შეაწუხებდნენ კომპანიის მევალეები და ის თავად უპასუხებდა მათ მიერ განხორციელებულ ზარებს.

1.8 საჩივრის მიხედვით, 2015 წლის იანვრის შუა რიცხვებში ლ. ნ.-სთან კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორის, ქ. ბ.-ს მოთხოვნით მივიდა მისი წარმომადგენელი მ. ჯ. და განუცხადა, რომ იგი მზად იყო მ. ა.-ის მიერ კომპანიიდან გატანილი თანხის ნაწილი 15 000 ლარის დაბრუნებაზე, ხოლო დარჩენილ თანხას უახლოეს დღეებში მოიტანდა კომპანიაში, რისთვისაც მოითხოვა ლ. ნ.ს მეუღლის ნ. ქ.-ის წილიდან 15%-ის მის სახელზე დარეგისტრირება. ნ. ქ. წინააღმდეგი იყო ამ წინადადების, მაგრამ მ. ბ.-მა დაარწმუნა იგი ამ ქმედების მართებულობაში, განუმარტა, რომ ეს ყოველივე იყო სიმბოლური, დროებითი და მ. ა.-ის მიერ წაღებული თანხის მთლიანად დაბრუნების შემდეგ მას და მის მეუღლეს წილები მთლიანად დაუბრუნდებოდათ, ამასთან მას უნდა დაეთმო მხოლოდ 10%, ხოლო მ. ჯ.-ის მოთხოვნის შესავსებად თავისი წილიდან დაუთმობდა 5%. 2015 წლის 05 მარტს შპს „დ-----ს“ ანგარიშზე მ. ჯ.-მა შეიტანა 15 000 ლარი დანიშნულებით „თანხის შეტანა“ ფიზიკური პირის მიერ. ამავე დღეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა წილის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვით ნ. ქ.-მა მისი წილის 10%, ხოლო მ. ბ.-მა კი - 5% უსასყიდლოდ დაუთმო მ. ჯ.-ს. რის შემდეგაც, შპს „დ-----ს“ პარტნიორთა შორის წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: ქ. ბ. 50%-ით, ნ. ქ. 15%-ით, მ. ჯ. 15%-ით, ნ. ს. 12,5%-ით და მ. ბ. 7,5%-ით.

1.9 ლ. ნ.ს განმარტებით, მაშინ როდესაც ადვოკატთან ურთიერთობა დაძაბული ჰქონდათ, ნ. ქ.-მა ნავაჭრი თანხა შეინახა სეიფში, რის შემდეგაც მ. ბ.-მა გამოიძახა პატრული, იმის დასამტკიცებლად, რომ საჩივრის ავტორებმა თანხა მოიპარეს. ნ. ქ.-მა გახსნა სეიფის კარები და მათ აჩვენა ფული, აღნიშნული ასევე დააფიქსირა კამერებმა. ამ ფაქტის შემდეგ საჩივრის ავტორებს ადვოკატი აღარ უნახავთ.

1.10 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი მ. ბ. შეეკრა მოწინააღმდეგე მხარეს მ. ა.-ს და მის გარემოცვას. მ. ბ. ასევე წარმოადგენს მ. ა.-ის ინტერესებს სხვა საქმეში, რაც ეხება მ. ა.-ის სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა არ უკავშირდება საჩივრის ავტორთა ინტერესებს. მ. ბ.-მა, ნ. ს.-

მა და მ. ჯ.-მა დაამახინჯეს სინამდვილე, საჩივრის ავტორები დაარწუნეს ქმედების მართებულობაში. მოტყუებით დაეუფლენ ლ. ნ.-ს და ნ. ქ.-ის ქონებრივი უფლებას, საერთო ჯამში უსასყიდლოდ მიიღეს კომპანიის 40%. მათ საბოლოო მიზანს წარმოადგენდა დაუფლებული ქონებრივი სიკეთიდან სარგებლის მიღება და საჩივრის ავტორთა საბოლოო გაძევება კომპანიიდან. მათ შპს „დ-----ს“ ფუნქციონირება გააჩერეს და მისივე ადგილზე, იმავე ფართში მეტეხის აღმართზე N2-ში აამოქმედეს ერთობლივად შექმნილი ბიზნესი - შპს „ღ----“, რომლის დირექტორად დაინიშნა მ. ბ..

1.11 საჩივრის ავტორები მოითხოვენ ადვოკატ მ. ბ.-ისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტას.

2. მოწმე ხ. გ.-ს განმარტება:

2.1. 2019 წლის 02 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა ხ. გ.. მოწმის განმარტებით, 2014-2015 წლებში ლ. ნ.სთან და ნ. ქ.-თან მუშაობდა ღვინის მაღაზია შპს „დ----“. მისი ინფორმაციით, კომპანიას მეუფე ანტონთან ჰქონდა გარკვეული პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო თანხის გაფლანგვასთან და ბიზნესის წილთან. თანხის ამოღების მიზნით ლ. ნ.-მ კომპანიაში მიიყვანა მ. ბ., რომელიც იყო იურისტი და მას უნდა მოეგვარებინა კომპანიაში არსებული პრობლემები.

2.2. ხ. გ.ს განმარტებით, კომპანიაში საქმიანობის პერიოდში, ესმოდა ლ. ნ.ს და მიხეილ ბაიდოსშვილს შორის გამართული საუბრები, ვინაიდან კომპანიის შიდა სივრცე იყო ერთიანი და ოთახს, სადაც საუბრობდნენ არ ჰქონდა კარი. მ. ბ.-მა ურჩია ლ. ნ.ს, რომ წილი გადაეფორმებინა მასზე და თავად გამხდარიყო კომპანიის დირექტორი, რათა მ. ბ.-ს მისცემოდა საშუალება გამხდარიყო სრულუფლებიანი პარტნიორი და მოეგვარებინა პრობლემები. ლ. ნ.მ გადაუფორმა მ. ბ.-ს წილი.

2.3. მოწმის განმარტებით ლ. ნ.-მ მ. ბ. გააცნო როგორც ადვოკატი, თუმცა მათ შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების ან თანხის გადაცემის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა.

3. ადვოკატ მ. ბ.-ის პოზიცია:

3.1. ადვოკატი მ. ბ.-ის განმარტებით, 2015 წელს დაუკავშირდა მეგობარი ჯ. ლ. და თხოვა მის მეგობარს კონსულტაციის მიღების მიზნით შეხვედროდა. რის შემდეგაც გაიცნო ლ. ნ. და მასთან შეხვედრისას გაარკვია, რომ 2013 წელს მან სხვა პარტნიორებთან ერთად ჩამოაყალიბა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მათ შორის ერთ-ერთი პარტნიორი იყო მ. ა.-ის შვილი, ქ. ბ.. ადვოკატის განმარტებით აღნიშნული ბიზნესი მ. ა.-მა დააფინანსა, რომელმაც თავის მხრივ თანხა გამოართვა ბიზნესმენ ზ. ს.-ს, რის შემდეგაც კომპანიამ გახსნა ორი მაღაზია - მცხეთაში და თბილისში. გარკვეული დროის შემდეგ მეუფემ მოითხოვა თანხის დაბრუნება 38 000 ლარის ოდენობით, რაც საჩივრის ავტორებმა თავად მიუტანეს და ხელზე გადასცეს მას.

3.2. ადვოკატის განმარტებით, კომპანიის შექმნის დღიდან ფაქტობრივად კომპანიას მართავდნენ ლ. ნ. და მისი მეუღლე ნ. ქ.. კომპანიას სხვადასხვა პერიოდში ყავდა სხვადასხვა დირექტორი, მისი მისვლის დროს კომპანიის დირექტორი იყო ლ. ნ..

3.3. მ. ბ.-მა ლ. ნ.-ს უთხრა, რომ გამოცდილება ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით, მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნიშნები საქმეში არ იკვეთებოდა, საკითხი ეხებოდა სამოქალაქო-სამართლებრივ დავას და რეკომენდაცია გაუწია მის მეგობარ ადვოკატ ნ. ს.-ს, რომელსაც მსგავს საქმეებში ჰქონდა გამოცდილება. მ. ბ.-მა მიიყვანა ნ. ს. საჩივრის ავტორებთან, რომელმაც აუხსნა მათ დირექტორის და პარტნიორის უფლება-მოვალეობები. პირველი შეხვედრის შემდეგ, მ. ბ. ხშირად მიდოდა შპს „დ----“ და მასა და ლ. ნ.-ს შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ადვოკატის განმარტებით ლ. ნ.-სთან შეხვედრის დროს ანაზღაურების თაობაზე საუბარი არ ყოფილა.

3.4. მ. ბ.-ს არასოდეს განუხორციელებია კომპანიაში საადვოკატო საქმიანობა. მათი ურთიერთობა კი შემდგომში მოიცავდა მხოლოდ კომპანიის პარტნიორებს შორის ურთიერთობას. ადვოკატის განმარტებით, კომპანიაში ის მოქმედეებდა როგორც პარტნიორი და არა როგორც ადვოკატი. ლ. ნ.-მ მათ უთხრა, რომ აპირებდა ამერიკაში წასვლას და შესთავაზა თანხის შეტანა კომპანიაში და კომპანიის ერთობლივად მართვა, რადგან მათ როგორც იურისტებს გაუადვილდებოდათ კომპანიის მართვა. ასევე უთხრა, რომ კომპანიას ჰქონდა წარმატებული მომავალი და იმ ეტაპზე კრედიტორების წინაშე მხოლოდ 8000 ლარის ვალდებულება ჰქონდა. მ. ბ. და ნ. ს. დაინტერესდნენ ლ. ნ.ს მიერ შეთავაზებული წინადადებით და გადაწყვიტეს შენატანის განხორციელება. შპს „დ----ს“ კომპანიამ, სადაც იურისტად მუშობდა ნ. ს. სესხის სახით გადასცა 7000 ლარი. ლ. ნ.მ კი მ. ბ.-ს და ნ. ს.-ს უსასყიდლოდ გადასცა კომპანიის 12,5-12,5%-იანი წილები. ამ პერიოდში ლ. ნ. აღარ მიდიოდა კომპანიაში. მ. ბ.-ის განმარტებით, კომპანიაში საქმიანობის დაწყების ინტერესი თავადაც გაუჩნდა, სამეწარმეო საქმიანობით შემოსავალის მიღების მიზნით.

3.5. მ. ბ.-მა კომპანიაში პარტნიორად შესვლის შემდეგ გაარკვია, რომ კომპანია დაფუძნებული იყო ბიზნესმენ ზ. ს.-ის ფინანსური დახმარებით ქ. ბ.-სა და მისი მამის მ. ა.-ის მიერ.

3.6. ნ. ქ.-მა შესთავაზა ადვოკატს, რომ კომპანიის დირექტორად დაენიშნათ ისეთი პირი, რომელიც ხელფასს არ აიღებდა და გადაწყვიტეს, კომპანიის დირექტორად დანიშნულიყო მ. ბ.. 2015 წლის მაისში ადვოკატი მ. ბ. დაინიშნა დირექტორად, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ კომპანიას ჰქონდა მომწოდებლების დავალიანება არა 8000 ლარი, არამედ 82 000 ლარი. ადვოკატმა მ. ბ.-მა კომპანიაში პარტნიორად შესვლის შემდეგ მოამზადა განცხადებები კომპანიის კუთვნილი თანხის დაბრუნების მიზნით. კერძოდ, ადვოკატმა, როგორც კომპანიის პარტნიორმა ლ. ნ.სთან ერთად მოამზადა მარკოზ ბულუხიასთან გასაგზავნი შეტყობინება და როგორც დირექტორმა მოამზადა მამუკა დარჯანიასთან გასაგზავნი შეტყობინება.

3.7. კომპანიაში მივიდა კომპანიის ერთ-ერთი მეწილის ქ. ბ.-ს წარმომადგენელი მ. ჯ., რომელმაც განაცხადა, რომ მზად იყო შემოეტანა 15 000 ლარი, ასევე ორ კვირაში დამატებით შემოიტანდა 15 000 ლარს და საერთო ჯამში 30 000 ლარს გადაიხდიდა. მ. ჯ.-მა მოითხოვა, რომ კომპანიაში

შესწავლულიყო 2 წლის განმავლობაში თანხების განკარგვა და დათვლილიყო მოგება და ასევე ვალდებულებები, რაც კომპანიას ჰქონდა. მ. ჯ.-მა უზრუნველყოფის სახით მოითხოვა კომპანიის 15%-იანი წილის მის სახელზე გადაფორმება, რომელსაც შემდეგ უკან დააბრუნებდა. აღნიშნულ მოლაპარაკებებს მ. ჯ. ახორციელებდა ყველა პარტნიორთან, რის შემდეგაც, ნ. ქ.-მა მას გადაუფორმა 10%-იანი წილის, ხოლო მ. ბ.-მა 5%-იანი წილი. ადვოკატის განმარტებით, კომპანია სამართლებრივად იყო ძალიან სუსტი, კომპანიას ჰქონდა ძალიან დიდი ვალები და კრედიტორები ითხოვდნენ ამ თანის დაბრუნებას, ასევე ქ. ბ.-სთვის გადაცემული თანხის დაბრუნების მოთხოვნა სამართლებრივად არ დასტურდებოდა და მას ვერც სასამართლოზე დაამტკიცებდნენ. შესაბამისად მ. ჯ.-ის მიერ შეთავაზებულ წინადადებას ნ. ქ. დაეთანხმა. მ. ჯ.-ის ინტერესი იყო კომპანიის დავალიანებების გასტუმრება, რადგან თანხის შემოტანა კომპანიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მოლაპარაკებების შემდეგ, მ. ჯ.-მა კომპანიის ანგარიშზე შეიტანა 15 000 ლარი, თუმცა დამატებით 15 000 ლარი აღარ შეიტანა, რადგან ლ. ნ.მ კომპანიაში მისვლისას მას მიაყენა შეურაცხყოფა. ადვოკატის განმარტებით შეტანილი 15 000 ლარი შპს „დ-----ს“ დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდა.

3.8. მ. ბ.-ის განმარტებით, კომპანიაში ჩაატარეს აუდიტი. აუდიტორული დასკვნით კომპანიას ჰქონდა 82 000 ლარი დავალიანება. დასკვნის მიხედვით ვერ დადგინდა ლ. ნ.ს მართვის პერიოდში 200 000 ლარის განკარგვა რას მოხმარდა, რისთვისაც მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. საგამოძიებო სამსახურმა უარი თქვა გამოძიების დაწყებაზე.

3.9. მ. ბ.-ის განმარტებით ის არასოდეს შეხვედრია მ. ა.-ს.

3.10. მ. ბ.ის კომპანიაში დირექტორად დანიშვნის შემდეგ ნ. ქ. იღებდა ნავაჭრ თანხებს და მისი განკარგვის თაობაზე ინფორმაციას მას არ აწვდიდა. რამოდენიმე მსგავსი ფაქტის შემდეგ ის იძულებული გახდა გამოეძახებინა პატრული. აღმოჩნდა, რომ ნავაჭრი თანხა სეიფში იყო შენახული.

3.11. ადვოკატი კვლავ კომპანიის დირექტორია. თუმცა, შპს „დ-----ს“ შემდეგ მაღაზიაში საქმიანობას ახორციელებდა კომპანია შპს „ღ----“. მ. ბ.-ის განმარტებით, მასთან მივიდა ვახტანგ ხუციშვილი, რომელმაც სთხოვა მაღაზიის მათთვის გადაცემა, რაზედაც ადვოკატმა განუმარტა, რომ შპს „დ----ს“ აქვს მისი ვალი 7000 ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ შპს „ღ----“ თანახმა იყო ამ თანხის გადახდაზე, ის მზად იყო მოიჯარესთან მოლაპარაკებისათვის, რათა მათთვის გადაეცათ ფართი. ადვოკატის განმარტებით, შპს „ღ----ს“ შემდეგ მაღაზიაში ფუნქციონირებდა სხვა კომპანია, რომლის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

4. მოწმე მ. ჯ.-ის ახსნა-განმარტება:

4.1. მოწმის განმარტებით, ის იყო შპს „დ-----ს“ 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის ქ. ბ.-ს წარმომადგენელი, რომელმაც სთხოვა დახმარება კომპანიაში არსებული სიტუაციის გარკვევა. მ. ჯ. გაესაუბრა ლ. ნ.ს და ნ. ქ.-ს, გაეცნო კომპანიის საქმიანობას და ნახა რომ კომპანიას ჰქონდა

დავალიანებები. კომპანიის ბუღალტერმა უთხრა მას, რომ შპს „დ-----ს“ დავალიანება დაახლოებით 14 000 ლარს შეადგენდა.

4.2. მ. ჯ.-ის განმარტებით, ქ. ბ.-ს და ლ. ნ.ს ჰქონდათ მოლაპარაკებები, რომლის მიხედვით ლ. ნ.ს უნდა გადაეხადა ქ. ბ.-სთვის 20 000 ლარი, ხოლო ქ. ბ. დათმობდა 50%-იან წილს. ლ. ნ.მ მ. ჯ.-ს განუცხადა, რომ თანხის მიცემის საშუალება არ ჰქონდა, რადგან კომპანია იყო ცუდ სიტუაციაში, თუმცა შეძლებდა ამ სიტუაციიდან გამოსვლას და შესაბამისად ქ. ბ.-ს ექნებოდა შესაძლებლობა კომპანიიდან სარგებელი მიეღო. ლ. ნ.მ მოიწვია კომპანიის ახალი პარტნიორები მ. ბ. და ნ. ს. და გააცნო მ. ჯ.-ს, ასევე აუხსნა, რომ ისინი აპირებდნენ კომპანიაში თანხის შეტანას 7 000 ლარის ოდენობით.

4.3. მოწმის განმარტებით, ლ. ნ.ს აღარ სურდა შპს „დ-----ს“ დირექტორად ყოფნა. კომპანიის დირექტორად დანიშვნის საკითხის განხილვის დროს წინადადება შესთვაზეს მ. ჯ.-საც, თუმცა მან უარი განაცხადა. საბოლოოდ, მ. ბ. დაითანხმეს გამხდარიყო შპს „დ-----ს“ დირექტორი.

4.4. კომპანიაში სიტუაცია დაიძაბა მანამდე, სანამ მ. ბ. დაინიშნა დირექტორად, ვინაიდან გაირკვა რომ კომპანიას ჰქონდა წლების განმავლობაში დაგროვილი ვალები. კომპანიაში კრედიტორების მოსვლის დროს კრედიტორებთან ურთიერთობა ჰქონდათ მ. ბ.-ს, ნ. ქ.-სა და თავად მ. ჯ.-ს. ამ პერიოდში ლ. ნ. კომპანიაში აღარ მიდიოდა.

4.5. მოწმის განმარტებით, მან თავად -15 000 ლარი შეიტანა კომპანიაში, რათა კომპანიას შეძლობოდა კრიზისიდან გამოსვლა, უზრუნველყოფის სახით კი გადაიფორმა მ. ბ.-ისგან კომპანიის 5%-იანი წილი, ხოლო ნ. ქ.-ისგან -10%-იანი წილი. მ. ჯ.-ის განმარტებით, ნ. ქ.-ის მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონდა მისთვის 10% წილის გადაფორმების დროს. კომპანიის წილის გადაფორმება იყო დროებითი ღონისძიება და პირობის მიხედვით, კომპანიის საქმიანობის წარმატებით ამოქმედების შემდეგ კომპანიას უნდა დაებრუნებინა 15 000 ლარი, ხოლო თავის მხრივ მ. ჯ. დააბრუნებდა შპს „დ.-----ს“ წილებს. მოწმის განმარტებით, მისი ინტერესი თანხის შემოტანის დროს იყო ის, რომ კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქ. ბ.-სგან მიიღებდა 25%-იან წილს. მოწმემ არ დაადასტურა ლ. ნ.სთვის პირობის მიცემა დამატებით, 15 000 ლარის გადაცემის თაობაზე. კომპანიაში 15 000 ლარის შეტანის დროს მ. ჯ. სრულად არ ფლობდა ინფორმაციას კომპანიაში არსებულ ვალებზე, რაც დაახლოებით 100 000 ლარს შეადგენდა.

4.6. მოწმის განმარტებით, კომპანიაში მისი მისვლის დროს კომპანია საქმიანობდა თბილისსა და მცხეთაში არსებულ მაღაზიებში, თუმცა შემდეგ მცხეთის მაღაზია გამოეყო და ლ. ნ.-მ და ნ. ქ.-მა საქმიანობა გააგრძელეს მცეთაში. მოწმის განმარტებით, შპს „დ-----ს“ ბუღალტერმა მას განუცხადა, რომ მას გარკვეული თანხა ჩადებული ჰქონდა მცხეთის მაღაზიაში.

5. მოწმე ნ. ს.-ის ახსნა -განმარტება:

5.1. მოწმის განმარტებით მიხეილ ბაიდოშვილთან სტუდენტობიდან აქვს ურთიერთობა. ის არის საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი და აქვს სამეწარმეო სამართლის მიმართულებით მუშობის

გამოცდილება. მოწმის განმარტებით, მას დაუკავშირდა მ. ბ. და სთხოვა, რომ ერთად მისულიყვნენ მის მეგობართან, რომელსაც პრობლემები ჰქონდა კომპანიაში. რის შემდეგაც, ისინი შეხვდენენ ლ. ნ.-ს, რომელმაც აუხსნა, რომ პრობლემები ჰქონდა პარტნიორებთან, ვინაიდან ერთ-ერთი პარტნიორის მიერ კომპანიიდან წაღებული იყო თანხა. აღნიშნულზე მას განემარტა, რომ ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში ის დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით, რაც მას არ ჰქონდა. საუბარი გაგრძელდა კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. ნ. ს.-მა ლ. ნ.-ს მიაწოდა ინფორმაცია შპს-ს პარტნიორებისა და დირექტორის უფლება-მოვალეობათა შესახებ.

5.2. მოწმის განმარტებით, ლ. ნ.-მ მათ შესთავაზა კომპანიაში პარტნიორად შესვლა და აუხსნა, რომ კომპანიას ჰქონდა კარგი მომავალი, აპირებდნენ კიდევ ერთი მაღაზიის გახსნას და მასაც შეეძლო კომპანიაში თანხის შეტანა და სანაცვლოდ კომპანიიდან წილის მიღება. ნ. ს.-მა უთხრა ლ. ნ.-ს, რომ მას არ ჰქონდა ფული, შესთავაზა კომპანია „ა.ს.თ.ი.-თან“ შეთანხმება, სადაც ნ. ს. იურისტად მუშაობდა. ნ. ს.-მა სთხოვა კომპანია „ა.ს.თ.ი.ს“ სესხის სახით მიეცა შპს „დ-----სთვის“ თანხა. კომპანიამ თანხმობა განაცხადა 7000 ლარის სესხის სახით მიცემაზე და ლ. ნ.მ მათთან გააფორმა სესხის ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ შპს „დ----- სესხის თანხას ვერ დააბრუნებდა თანხის გადახდა უნდა უზრუნველყო ნ. ს.-ს. მას შემდეგ რაც ნ. ს. დაეხმარა კომპანიას სესხის აღებაში, ლ. ნ.-მ მას და მ. ბ.-ს დაუთმო შპს „დ-----ს“ 25%-იანი წილი თანაბრად. წილის გადაფორმების დროს წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ლ. ნ. ფიქრობდა, რომ ისინი, როგორც იურისტები და უკეთ გაართმევდნენ კომპანიის მოვალეობებს თავს. სესხის სახით მიღებული თანხით ლ. ნ.-მ მაღაზიაში შეცვალა ინვენტარი.

5.3. მოწმის განმარტებით, კომპანიიდან წილის მიიღების შემდეგ შეიტყო, რომ კომპანიას ჰქონდა ძალიან დიდი ვალდებულებები. ასევე, კომპანიის მიერ ვერ მოხდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაც, რაც მისი სამსახურის დაკარგვის საფუძველი გახდა. ნ. ს.-მა შეწყვიტა შპს „დ.----თან“ ურთიერთობა.

5.4. მოწმის განმარტებით, ლ. ნ.ს პრეტენზია მას შემდეგ გაუჩნდა, რაც აუდიტის დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ ლ. ნ.ს მართველობის პერიოდში კომპანიას შეექმნა პრობლემები.

6. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

6.1. საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს პროფესიული საქმიანობის განხორციებისას წარმოეშვა პირადი ინტერესი კომპანიის მიმართ, რომლის ინტერესების დაცვის მიზნითაც მიმართეს საჩივრის ავტორებმა. ასეთ პირობებში, ადვოკატის მიერ განხორციელებულმა მოქმედებებმა საჩივრის ავტორებს დაუკარგა ნდობა. ადვოკატის მიერ განხორციელებულმა მოქმედებებმა გავლენა მოახდინეს მის საქმიანობაზე და მას არ შეეძლო დამოუკიდებლად განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ განხილვის კოლეგიის მიერ სადავო ფაქტების დადგენის შემთხვევაში ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს კეთილსინდისიერების, კვალიფიციურობის, ნდობის, დამოუკიდებლობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის

პრინციპი, რაც გულისხმობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და აპეკ-ის მე-2, მე-3, მე-5 და მე-8.5 მუხლების დარღვევის შესაძლებლობას.

6.2. საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ შპს „დ-----ს მიმართ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიების დაწყების, ნ. ქ.-ის მიმართ საპატრული პოლიციის გამოძახებისა და შპს „ღ----ში“ შესაძლოა საქმიანობის განხორციელების დადასტურების შემთხვევაში იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი, რაც გულისხმობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლისა და აპეკ-ის 6.1 მუხლის დარღვევას.

II სამოტივაციო ნაწილი

7. საქმის ფაქტები:

7.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

7.1.1. 2013 წლის 24 იანვარს, ფიზიკური პირების ლ. ნ.-ს (25 %), ნ. ქ.-ისა (25%) და ე. ბ.-ს (50%) მიერ დაფუძნდა შპს „-----“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, 24/01/2013 წლის მდგომარეობით.

7.1.2. 2014 წლის 10 თებერვალს შპს „-----“ შეეცვალა დასახელება და იგი დარეგისტრირდა როგორც შპს „დ-----“. 2013 წლის 24 ოქტომბრიდან 2015 წლის 21 მაისამდე კომპანიის დირექტორად ლ. ნ. მუშაობდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, 24/10/2013 წლის მდგომარეობით;
- 20.05.2015 წლის შპს „დ-----ს“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი.

7.1.3. 2015 წელს ლ. ნ. დაუკავშირდა მ. ბ.-ს ჯ. ლ.ს დახმარებით, შპს „დ-----დან“ ერთ-ერთი პარტნიორის ქ. ბ.-ს მამის, მ. ა.-ის მიერ გატანილი თანხის დაბრუნების მიზნით. ადვოკატი მ. ბ. შეხვდა ლ. ნ.-ს და განუმარტა, რომ საქმეში არ იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მას ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და კომპანიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით მიიყვანდა იურისტს ნ. ს.-ს, რომელსაც ჰქონდა ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ლ. ნ.ს განმარტება (პარ. 1.3;)*
- *ადვოკატის განმარტება* (პარ. 3.3)
- მოწმე ნ. ს.-ის პოზიცია (პარ. 5.1.).

7.1.4. ადვოკატმა მ. ბ.-მა შპს „დ----“ მიიყვანა ნ. ს., რომელმაც ლ. ნ.-ს აუხსნა კომპანიის დირექტორის და პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, ასევე კომპანიიდან გატანილი თახის დაბრუნების საკითხი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ადვოკატის ახსნა-განმარტება (პარ. 3.3);*
- მოწმე ნ. ს.-ის პოზიცია *(პარ. 5.1).*

7.1.5. 2014 წლის 31 დეკემბერს ლ. ნ.მ, როგორც შპს „დ-----ს“25%-იანი წილის მფლობელმა, მ. ბ.-ს და ნ. ს.-ს უსასყიდლოდ გადასცა შპს „დ-----ს“ პარტნიორული წილი, თითოეულს 12.5%-იანი წილი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 31.12.2014 წლის ხელშეკრულებები წილის დათმობის შესახებ.

7.1.6. 2015 წლის 03 თებერვალს, შპს „ა.ს.თ.ი.-მა“, სადაც ნ. ს. დასაქმებული იყო იურისტად, შპს „დ----ს“ სესხის სახით გადასცა 7000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2015 წლის 03 თებერვლის სესხის ხელშეკრულება.

7.1.7. 2015 წლის 04 თებერვალს შპს „დ.----მა“ ნ. ს.-ს სესხის სახით გადასცა 1000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2015 წლის 04 თებერვლის სესხის ხელშეკრულება.

7.1.8. 2015 წლის აპრილს ადვოკატმა მ. ბ.-მა შეადგინა მარკოზ ბულუხიასთვის გაგზავნილი შეტყობინება, რომლითაც ის ითხოვდა კომპანიის კუთვნილი თანხის 38 000 ლარის დაბრუნებას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *2015 წლის აპრილის შეტყობინება;*
- *საჩივრის ავტორთა განმარტება (პარ. 1.4)*
- *ადვოკატის განმარტება (3.6).*

7.1.9. 2015 წლის 20 მაისს ჩატარდა შპს „დ-----ს“ პარტნიორთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტნიორები - ქ. ბ., ნ. ქ., ნ. ს., მ. ჯ., მ. ბ. და შპს „დ-----ს“ დირექტორი ლ. ნ.. კენჭისყრის შედეგად, პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაკმაყოფილდა შპს „დ-----ს“ დირექტორის ლ. ნ.ს თხოვნა დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და ნ. ქ.-ის ინიციატივით, კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა მ. ბ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 20.05.2015 წლის შპს „დ-----ს“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი.

7.1.10. 2015 წლის 20 სექტემბერს ადვოკატმა მ. ბ.-მა ნ. ქ.-ის მიერ კომპანიის სალაროდან უნებართვოდ აღებული თანხის თაობაზე მიმართა საპატრულო პოლიციას. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმის მიხედვით აღნიშნული თანხა აღებული იქნა კომპანიის ინკასაციისთვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 20.09.2015 წლის რეაგირების ოქმი.

7.1.11. 2017 წლის 16 მაისს ადვოკატი მ. ბ. შპს „ღ----ს“ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დაინიშნა შპს „ღ----ს“- დირექტორად. საერთო კრება ჩატარდა იმავე მისამართზე (თბილისი, მეტეხის აღმართი N2), სადაც შპს „დ-----ს“ საერთო კრება ჩატარდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *16.05.2017 წლის შპს „ღ----ს“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი;*
- *20.05.2015 წლის შპს „დ-----ს“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი.*

7.2. საქმეში სადავო გარემოებაა საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ ჰონორარის მიღების ფაქტი, ვინაიდან ადვოკატი და მისი შუამდგომლობის საფუძველზე გამოკითხული მოწმე ნ. ს. მიუთითებენ, რომ შპს „ა.ს.თ.ი.-დან“ სესხის სახით მიღებული თანხის შპს „დ----“ შეტანის საფუძველზე გადაიფორმეს შპს „დ-----ს“ 12,5%-იანი წილი. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 03 თებერვლის სესხის ხელშეკრულება გაფორმებულია მას შემდეგ, რაც ლ. ნ.მ და ნ. ს.-მა 2014 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებებით, მიიღეს შპს „დ-----ს“ 12,5%-იანი წილები და 2015 წლის 05 იანვრის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრის ამონაწერის მიხედვით ისინი აღირიცხნენ შპს „დ-----ს“ პარტნიორებად. შესაბამისად, ადვოკატ მ. ბ.-ის და ნ. ს.-ისთვის კომპანიის წილის გადაფორმება მოხდა სესხის ხელშეკრულების დადებამდე ერთი თვით ადრე, რაც გამორიცხავს კავშირს სესხის ხელშეკრულების დადებასა და მათთვის წილების გადაფორმებას შორის.

8. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

9. სამართლებრივი შეფასება

9.1. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) შემდეგი ნორმები:

მუხლი 2: „2.1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ

საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.

2.2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ“

მუხლი 6.2.ბ: „ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან“. .

9.2. ადვოკატის დანიშნულებაა კლიენტს მისცეს დამოუკიდებელი იურიდიული რჩევა. თუ ადვოკატი რჩევის გაცემისას იმყოფებოდა სხვა პირის ან საკუთარი ინტერესის გავლენის ქვეშ, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი და ადვოკატი შეიძლება ვეღარ იყოს ერთგული კლიენტის მიმართ. დამოუკიდებლობა პროფესიული პრინციპად არის განსაზღვრული აპეკ-ში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი სხვა ვალდებულების განმარტებისას, ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით, ის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და წარმოადგენს განმარტების წყაროს. ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე. დამოუკიდებლობა ინტერესთა კონფლიქტის წესებისგან დამატებით, ასევე მოიცავს თავად კლიენტისგან დამოუკიდებლობასაც, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტზე დამოკიდებული ადვოკატის მიერ კლიენტისთვის იურიდიული რჩევის გაცემა კლიენტის მხრიდან ზეგავლენას შეიძლება დაექვემდებაროს და კლინტმა ვერ მიიღოს ობიექტური ინფორმაცია მის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

9.3. ეთიკის კომისიას არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული დამოუკიდებლობის პრინციპი. საქმეზე №057/10 07/03/2011 კომისამ განმარტა, რომ: „ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად: „სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლებისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე. ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე“

9.4. ადვოკატს ზოგი პროფესიული ვალდებულება, მათ შორის პროფესიული საიდუმლოების დაცვის და შეზღუდული მოცულობით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებები წარმოეშვება კონსულტაციის მიღების მსურველ პირთან პირველი გასაუბრების შემდეგაც, თუ პოტენციური კლიენტი საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით ადვოკატს გაანდობს სადაო საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ეთიკის კომისიამ N005/19, 25.06.2019 რეკომენდაციაში განმარტა, თუ როდის წარმოიშვება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა: „თუ ადვოკატმა კონსულტაციის მსურველ პირს მისცა გარკვეული რჩევები მტკიცებულებების მოგროვებასთან ან არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით, მაშინ უკვე წარმოიშობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ხოლო აპეკი უკვე სრული მოცულობით იწყებს მოქმედებას“.

9.5. ამ საქმეში შესაფასებელია, წარმოიშვა თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, თუ ის არ წარმოშობილა, მაინც ხომ არ წარმოეშვა გარკვეული პროფესიული ვალდებულებები ადვოკატს. ადვოკატმა მ. ბ.-მა მოისმინა ლ. ნ.-ს სამართლებრივი პრობლემები. ადვოკატი შემდგომ, შპს „დ-----“ მისვლის დროსაც ინტერესდებოდა კომპანიის სამართლებრივი საკითხებით (პარ. 2.2). ასევე, ადვოკატმა შპს „დ-----სთვის“ თანხის დაბრუნების მიზნით მოამზადა წერილობითი შეტყობინება (პარ. 7.1.8). ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ მ. ბ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ადვოკატ მიხეილ ბაიდოშვილთან სამართლებრივ საკითხებზე მოლაპარაკებით, როდესაც მან მიიყვანა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და საჩივრის ავტორებთან ერთად ისაუბრეს კომპანიის საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე (პარ. 3.1; 3.3). შესაბამისად, ადვოკატმა მ. ბ.-მა მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია და საადვოკატო მოქმედებების განხორციელება განაგრძო მაშინაც, როდესაც შპს „დ----“ პარტნიორად შესვლის შემდეგ მოამზადა წერილობითი შეტყობინება კომპანიის კუთვნილი თანხის დაბრუნების მიზნით (პარ.7.1.8).

9.6. ერთი მხრივ არის საადვოკატო მომსახურების გაწევა ლ. ნ.-სთვის და კომპანიისთვის, იმ პირების მხრიდან, რომლებიც მანამდე არათუ ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, არამედ საერთოდ არ იცნობდენ ლ. ნ.-ს, მეორე მხრივ დროის იმავე პერიოდში ლ. ნ. მათ უფორმებს უსასყიდლოდ მის კუთვნილ წილს კომპანიაში 25%-ს. კომისიას მიაჩნია, რომ გონივრული განსჯას შეესაბამება საჩივრის ავტორთა განმარტებები და მოწმე ხ. გ.ს ჩვენება, რომლის თანახად ლ. ნ.მ კომპანიის 25% წილი გადასცა ადვოკატ მ. ბ.-ს და ადვოკატ ნ. ს.-ს სწორედ საადვოკატო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები ზოგადად არ არის დამოკიდებული იმაზე, იღებს თუ არა ადვოკატი ანაზღაურებას მომსახურებაში, თუმცა ეს შეფასება მნიშვნელოვანია იმის დასადასტურებლად, რომ საჩივრის ავტორს ლ. ნ.-ს და მ. ბ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

9.7. საადვოკატო ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატს დამატებით სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები წარმოეშვა საჩივრის ავტორთა და კომპანიის მიმართ, ვინაიდან 2015 წლის 5 იანვრიდან ის გახდა შპს „დ-----ს“ პარტნიორი, ხოლო 2015 წლის 20 მაისს შპს „დ-----ს“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმის მიხედვით მ. ბ. დაინიშნა შპს „დ-----ს“ დირექტორად. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვერ იქნებოდა

დამოუკიდებელი კლიენტისგან, რომელიც დირექტორია და რომლის მეუღლეც ამავე კომპანიის პარტნიორია, რადგან პარტნიორებს აქვთ სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარე დამატებითი უფლებები და ვალდებულებები კომპანიის დირექტორის და პარტნიორების მიმართ. თუ კომპანიის დირექტორი ამავდროულად კლიენტია, ხოლო მისი ცოლი - კომპანიის პარტნიორი, შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ასეთი ადვოკატი ვეღარ იქნება დამოუკიდებელი საკუთარი ინტერესისგან. მხედველობაში არ მიიღება უკვე წარმოშობილი კონფლიქტი, არამედ კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. აღნიშნული საფრთხე კიდევაც მატერიალიზირდა მომავალში, როდესაც ადვოკატი გახდა დირექტორი და საჩივრები წარადგინა ყოფილი კლიენტის და მისი მეუღლის მიმართ სხვადასხვა ორგანოებში. სახეზეა დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა და მისი კერძო შემთხვევაც, როდესაც ადვოკატის და კლიენტის ინტერესებს შორის არის კონფლიქტის მნიშვნელოვანი საფრთხე. ეს საფრთხე ადვოკატს გონივრულად უნდა ევარაუდა, რადგან მან იცოდა, რომ უკვე არსებობდა უთანხმოება პარტნიორებს შორის (იხ. პარ.3.1.) და შესაძლოა პარტნიორებს გასჩენოდათ მოთხოვნები დირექტორის მიმართ.

9.8. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ გადასახდელი ჰონორარის სანაცვლოდ იმ კომპანიის პარტნიორად გახდომამ, რომლის დირექტორიც იყო კლიენტი, ასევე ამ კომპანიის სხვა პარტნიორი იყო კლიენტის მეუღლე, აღარ ქმნიდა იმის საშუალებას, რომ მ. ბ.-ს საადვოკატო საქმიანობა განეხორციელებინა დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით. ადვოკატ მ. ბ.-ის, როგორც პარტნიორის ინტერესები და კლიენტის, როგორც კომპანიის დირექტორის და სხვა პარტნიორის მეუღლის ინტერესებს შორის წარმოიშვა წინააღმდეგობა, რაც თავიდანვე სავარაუდო იყო. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ დარღვეულია აპეკ-ის 2.1, 2.2 და 6.2 –„ბ“ მუხლები.

9.9. განხილვის კოლეგიამ ადვოკატ მ. ბ.-ის მის საადვოკატო მოქმედებების განხორციელების დროს ვერ დაადგინა საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული შემდეგი ნორმების დარღვევა:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: *„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".*
>
> აპეკ-ის 8.5 მუხლი: *„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".*
>
> აპეკ-ის მე-3 მუხლი: *„კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა".*
>
> აპეკ-ის მე-5 მუხლი: *„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს ".*

9.10. საადვოკატო მოქმედებების განხორციელებისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად და მისი ინტერესების გათვალისწინებით, კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა. რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად, რაც გათვალისწინებულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით.

9.11. ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ საადვოკატო მომსახურების დროს განხორციელებული მოქმედებებიდან მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევა და კომპანიისთვის თანხის დაბრუნების მიზნით შეტყობინების შედგენა. თუმცა, მოცემული მოქმედებების განხორციელების დროს არ დასტურდება ადვოკატის მიერ კვალიფიციურობის და კეთილსინდისიერების დარღვევა.

9.12. ასევე არ დასტურდება ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ ნდობისა პრინციპის დარღვევა, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო და ცხადი მტკიცებულებები, რომლის მიხედვით ადვოკატმა საადვოკატო მოქმედებების განხორციელების პერიოდში, მისი დირექტორად დანიშვნამდე, ისეთი მოქმედებები განახორციელა, რაც კლიენტს მის მიმართ ობიექტურად ნდობას დააკარგვინებდა. განმცხადებლის პრეტენზიების ძირითადი ნაწილი უკავშირდება მიხეულ ბაიდოშვილის მოქმედებებს მისი დირექტორად დანიშვნის შემდეგ. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპზე კომისია ცალკე არ იმსჯელებს, რადგან მან უკვე დაადგინა ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესს და კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას შორის. იხ. პარ. 9.1.

9.13. ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ არ დადგინდა შემდეგი მუხლების დარღვევა:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლი: *ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.*
>
> აპეკ-ის 6.1 მუხლი: *„ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი არსებობს აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი.“*

9.14. ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს, როგორც საადვოკატო მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, რადგან ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა გააჩნია, არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტების მიმართაც.

9.15. განხილვის კოლეგიამ 24.06.2011 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე N092/10 განმარტა, რომ „ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა. საადვოკატო საქმიანობის

ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა."

9.16. განხილვის კოლეგიამ სარწმუნო და ცხად მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვერ დაადგინა ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ სხვა კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, რომელსაც ლ. ნ.ს ან შპს დ-----ს საწინააღმდეგო ინტერესი ჰქონდა. საჩივრის ავტორის განმარტება და შპს „დ-----ს" და შპს „ღ----ს" სამუშაო მისამართის დამთხვევა არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი მოქმედებდა სხვა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, რაც ყოფილი კლიენტის, ლ. ნ.ს ან შპს „დ-----ს" ინტერესების საწინააღმდეგო იყო. შპს „დ-----ს" მიმართ გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართვა და კომპანიაში საპატრულო ეკიპაჟის გამოძახება მოხდა მაშინ, როდესაც მ. ბ. იყო შპს „დ-----ს" დირექტორი და მას ჰქონდა ფიდუციური მოვალეობები კომპანიის მიმართ. გარკვეულ პირობებში დირექტორის ვალდებულებაც კი შეიძლება იყოს შესაძლო დარღვევაზე კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვა. თუმცა ამავდროულად ეს შეიძლება უკავშირდებოდეს პროფესიულ ვალდებულებას, თუ დირექტორი ვალდებულია საგამოძიებო ორგანოსთვის განაცხადით მიმართვისას იძულებულია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მან ყოფილი კლიენტის წარმომადგენლობის დროს მიიღო, ასეთი ადვოკატი დაარღვევს პროფესიულ ვალდებულებებს. ამიტომ ეთიკის კომისია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დამოუკიდებლობის ძირიეული პრინციპის მნიშვნელობას, რომელიც ავალდებულებს ადვოკატს კლიენტისგან დამოუკიდებელი იყოს. თუ ადვოკატი გახდება კლიენტის დირექტორი, მცირე ვადაში წარმომადგენლობის დასრულების შემდეგ, ამან შეიძლება წარმოშვას კონფლიქტური ვალდებულებები, ერთის მხრივ ყოფილი კლიენტის მიმართ, და მეორე მხრივ კომპანიის პარტნიორების და კომპანიის კრედიტორების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევა ვერ დადგინდა, კომისიამ საჭიროდ ჩათვალა იმ რისკებზე მითითება, რაც ადვოკატის მიერ სხვადასხვა როლის მორგებისას შეიძლება წარმოიშვას. საპროცესო და ზოგიერთი სხვა ფუნქციის აღრევის აკრძალვა პირდაპირ მითითებულია ადვოკატთა შესახებ კანონის 8.3. მუხლში: „დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მედიატორის, არბიტრის, აღმასრულებლის, მოსამართლის თანაშემწის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი." მსგავსი რეგულაცია არის სხვადასხვა კანონებში უკუმიმართულებითაც, მაგალითად მოსამართლე ვეღარ იქნება საქმეზე, თუ ის უკვე იყო ადვოკატი და ა.შ. მართალია, ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული ადვოკატის მიერ დირექტორის უფლებამოსილების შესრულება, შესაბამისად არ არსებობს

უპირობო აკრძალვა, ადვოკატები სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ ისეთი ფუნქციის თავის თავზე აღებას, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს მათ პროფესიულ ვალდებულებებს.

9.17. კომისია იყენებს პროპორციულობის და თანასწორობის პრინციპებს ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის ან ზემოქმედების საშუალების შერჩევისას. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

9.18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

9.19. გამოყენებული სახდელის პროპორციულობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის არსებული პრაქტიკის გათვალისწინება. ეთიკის კომისიამ საქმეზე, სადაც ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვის დროს გადაიფორმა კლიენტის სახელზე რიცხული სადავო ქონება, გამოიყენა დისციპლინური სახდელის ღონისძიება გაფრთხილება (25.02.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე №086/17).

9.20. მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ასევე ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ზიანს, რომელიც მიადგა კომპანიის ინტერესებს და იმას, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი. კომისია ასევე ითვალისწინებს, რომ ადვოკატი ვერ აცნობიერებს, რომ ანაზღაურებისთვის კომპანიის წილის მიღებამ მისი დამოუკიდებლობლობა ეჭვქვეშ დააყენა, შედეგად ეთიკის კომისია საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1 –„ა“ და 35-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №159/18 ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ მ. ბ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/